ორიათას ცამეტი წლის ოცდაერთ მაისს მე, ნოტარიუსს მაია წიკლაურს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომლის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზირი №55, მომმართა მოქალაქე **ვახტანგ ცქიმანაურმა,** განაცხადა, რომ არის შპს „ვალეო 2011“-ის დირექტორი, შემდგომში მარწმუნებლად წოდებული, და მოითხოვა მინდობილობის ტექსტის შედგენა და სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მარწმუნებლის უფლებამოსილება /თანახმად ამონაწერის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირების რეესტრიდან, განაცხადის ნომერი: 546227, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B12121162, ამონაწერის მომზადების თარიღი 06/11/2012, 15:53:32, შპს–ს იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარედ, ს.კ. 401956978, რეგისტრაციის თარიღი 24/03/2011/, პირადობა, ნების გამოხატვის ნამდვილობა, ქმედუნარიანობაში ეჭვი არ შემპარვია და ვინაიდან ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა, დავამოწმე სანოტარო აქტი. მას ასევე განვუმარტე, რომ: ამ აქტით წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ქარწყლდება ვადის გასვლით, უფლებამოსილი პირის უარით, უფლებამოსილების გამცემი პირის გარდაცვალებით, უფლებამოსილების გაუქმებით გამცემი პირის მიერ, უფლებამოსილების შესრულებით. მარწმუნებელმა წაიკითხა მინდობილობა, მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი, ნოტარიუსის თანდასწრებით მოაწერა ხელი.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას ცამეტი წლის ოცდაერთ მაისს მე, ქვემორე ხელისმომწერი **ვახტანგ ცქიმანაური,** დაბ. 22.01.1945 წელს მუხრანში, მცხოვრები: თბილისი, კრწანისის ქ. №16, კორპ. 7, ბ. 8-ში, რომლის პირადობა დადგენილია თანახმად წარმოდგენილი საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობით №a0098987, პირადი №01015005513, გაც. 16.07.1996წ. თბილისი, კრწანისის რ-ნის შს პოლიციის სამმართველოს მიერ, როგორც შპს „ვალეო 2011“-ის დირექტორი, შემდგომში “მარწმუნებლად” წოდებული, ამ მინდობილობით უფლებას ვაძლევ მოქალაქე **ნინო ცქიმანაურს,** დაბადებულს 12.10.1975 წელს თბილისში, მცხოვრებს: თბილისი, კრწანისის ქ. №16, კორპ. 7, ბ. 8-ში, მისი პირადი №01015005473, შემდგომში “რწმუნებულად” წოდებულს, იყოს ჩემი, როგორც შპს დირექტორის წარმომადგენელი ყველა დაწესებულება ორგანიზაციაში, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო ინსპექციაში, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, უზრუნველყოს სახელმწიფო მოსაკრებლების, გადასახადების გადახდა, შეუზღუდავად აწარმოოს ჩემი სახელით საქმეები საქართველოს ტერიტორიაზე ნებისმიერ ბანკში, მათ შორის ს.ს.-ში „საქართველოს ბანკი“ ან მის სერვის ცენტრებში, შეაგროვოს, წარადგინოს, მიიღოს ცნობები, დოკუმენტები, განცხადებები, ამონაწერები, აწარმოოს ელექტრონული დეკლარირება, სალარო აპარატის რეგისტრაცია/ან რეგისტრაციიდან მოხსნა, გამოწეროს ელექტრონული სასაქონლო ზედნადებები, ანგარიშფაქტურები, წარადგინოს ყველა სახის განცხადება, მოაწეროს ჩემი სახელით ხელი საჭიროებისამებრ სათანადო დოკუმენტაციას, რაც დაკავშირებული იქნება შ.პ.ს.-ს საქმიანობის მართვასთან, შეუზღუდავად ისარგებლოს იმ უფლებებით, რაც მონიჭებული მაქვს მე, როგორც შ.პ.ს.-ს დირექტორს ამავე შ.პ.ს.-ს წესდებით.

რწმუნებული უფლებამოსილია შეასრულოს ყველა მოქმედება და ფორმალობა, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ მინდობილობაში, მაგრამ სავალდებულოა შ.პ.ს.-ს სამეწარმეო საქმიანობის შეუზღუდავი წარმოებისათვის.